

პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამების განმახორციელებელ
დაწესებულებებში ინკლუზიური
განათლების უზრუნველყოფის
გზამკვლევი

სპეციალური საგანმანათლებლო
საჭიროების მქონე პირების პროფესიული
ორიენტაცია

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიული ორიენტაცია

გზამკვლევი მომზადებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის“ პროგრამის „ინკლუზიური განათლების განვითარების ხელშეწყობა პროფესიული განათლების საფეხურზე“ ქვეპროგრამის ფარგლებში.

გზამკვლევზე მუშაობდა თეონა გავაშელიშვილი



საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიული ორიენტაცია

- პროფესიული ორიენტაციის რაობა და მნიშვნელობა
- პროფესიული ორიენტაციის ძირითადი ეტაპები და მნიშვნელოვანი კომპონენტები
- პროფესიული ორიენტაციის გეგმის შედგენა და განხორციელება
- პროფესიული ორიენტაციის შედეგები
- პროფესიული ორიენტაციის პროცესში ჩართული პირები და მათი კომპეტენციის ფარგლები/პასუხისმგებლობები

პროფესიული ორიენტაციის რაობა და მნიშვნელობა

პროფესიული ორიენტაცია, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქტივობაა ადამიანის ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლის, ტრანზიციისას, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს დაეხმაროს ინდივიდს, აირჩიოს ან შეიცვალოს პროფესია მისი ინტერესების, შესაძლებლობების, შრომითი ბაზრის მოთხოვნების, განვითარების პერსპექტივებისა და სხვა რელევანტური ფაქტორების გათვალისწინებით.

პროფესიულ ორიენტაციას განსაკუთრებული ადგილი უკავია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიულ განათლებაში ტრანზიციის პროცესში, რომლის დროსაც ცალკეული პირის ინდივიდუალურად მორგებულ პირობებში, უზრუნველყოფილია პირის ინტერესების, შესაძლებლობებისა და უნარების შესატყვისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევის და სამომავლო კარიერის განსაზღვრის შესაძლებლობა.

პროფესიული ორიენტაციის პროცედურის გავლა საშუალებას აძლევს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს მიიღოს მისთვის აუცილებელი ინფორმაცია პროფესიებთან დაკავშირებით, გაეცნოს მომავალ სასწავლო გარემოს და შესაძლო დასაქმების ადგილს/ადგილებს, მოსინჯოს და საკუთარ თავზე გამოსცადოს პროფესიასთან დაკავშირებული სხვადასხვა აქტივობა და სხვა. აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს აპლიკანტს საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, მიიღოს გაცნობიერებული და

მისთვის საუკეთესო გადაწყვეტილება მომავალი პროფესის, პროფესიული პროგრამის თაობაზე.

მოცემულ დოკუმენტში აღწერილი პროფესიული ორიენტაციის პროცედურების გავლის უფლება აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსის ან აღნიშნული სტატუსის მაძიებელ ყველა იმ პირს, რომელიც გამოხატავს პროფესიული ორიენტაციის გავლის სურვილს. პროფესიული ორიენტაციის გავლა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს შეუძლია იმ შემთხვევაშიც, თუ ის უკვე ეუფლება რომელიმე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, აქვს სტუდენტის სტატუსი, თუმცა სურს პროფესიის შეცვლა ან ახალ პროფესიასთან მიმართებით საკუთარი შესაძლებლობების მოსინჯვა.

აღსანიშნავია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს შესაძლოა არ ჰქონდეს ინფორმაცია არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო შესაძლებლობებსა და რესურსებზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის ერთიანი ძალისხმევით, აქტიურად მიმდინარეობდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე რეკრუტირება. აღნიშნული პროცესი მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგი აქტივობებით:

- ✓ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებულ პროგრამებზე პრეზენტაციისა და საინფორმაციო ბუკლეტის მომზადება, რომელიც არ იქნება გადატვირთული რთული ტერმინოლოგიითა და გამდიდრებული იქნება პროფესიასთან დაკავშირებული თვალსაჩინოებებით.
- ✓ პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ადგილობრივ/თემში არსებულ საჯარო და სპეციალიზებულ სკოლებში, სოციალური რეაბილიტაციის სხვადასხვა მომსახურებაში (მაგ.: დღის ცენტრები) ვიზიტი და საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით პრეზენტაციის ჩატარება.
- ✓ დაინტერესებული პირებისთვის (მაგ.: დღის ცენტრების ბენეფიციარებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის) პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაცნობითი ვიზიტის დაგეგმვა.
- ✓ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა და მათი ოჯახების ინფორმირება/კონსულტირება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და არსებულ მხარდამჭერ სერვისებთან დაკავშირებით.
- ✓ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მოზიდვის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრებთან კოორდინირებული

მუშაობ/თანამშრომლობა (ინფორმაციის გაცვლა, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული მხარდამჭერი სერვისების გაცნობა და სხვა).

პროფესიული ორიენტაციის ძირითადი ეტაპები და მნიშვნელოვანი კომპონენტები

საორიენტაციო შეხვედრა

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის მიერ პროფესიული ორიენტაციის სურვილის გამოვლენის და შესაბამისი მიმართვის განხორციელების შემდგომ, ხორციელდება აპლიკანტთან გაცნობითი შეხვედრა. აღნიშნული შეხვედრის ძირითადი მიზანია აპლიკანტის გაცნობა, ახალ გარემოში ადაპტაციის ხელშეწყობა და საორიენტაციო შეხვედრისათვის მომზადება. გაცნობით შეხვედრას ესწრებიან აპლიკანტი, საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტის კანონიერი წარმომადგენელი და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. ასევე შესაძლოა საჭიროებისამებრ, პირველივე შეხვედრაზე დამატებითი სპეციალისტის ჩართვა (მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ჟესტური ენის თარჯიმანი). თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ გაცნობითი შეხვედრის მონაწილე პირების რაოდენობა იყოს შეზღუდული, რათა მაქსიმალურად მოხდეს აპლიკანტისთვის კომფორტული გარემოს შექმნა.

მას შემდეგ, რაც აპლიკანტი დაინტერესდება პროფესიულ განათლებაში ჩართვით და პირველად გაცნობით შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას, მომდევნო ეტაპს წარმოადგენს საორიენტაციო შეხვედრა. საორიენტაციო შეხვედრის ფარგლებში ხდება აპლიკანტის საჭიროებებისა და შესაძლებლობების სიღრმისეული შეფასება, ასევე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მაქსიმალურად მორგებული ინსტრუმენტების, მეთოდებისა და დამხმარე მასალის გამოყენებით, სასურველი პროფესიების განსაზღვრა/დაკონკრეტება.

პროფესიული ინტერსების კვლევისთვის, ასევე დამატებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ვებგვერდი- <http://myprofession.gov.ge/>, სადაც განთავსებულია პროფესიული გადაწყვეტილების მიღების, პროფესიის საკვლევი და ჰოლანდის თვით საკვლევი კითხვარები.

პროფესიული ორიენტაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს პროფესიების ანალიზის ინსტრუმენტი წარმოადგენს, რომელიც ცალკეულ პროფესიასთან დაკავშირებული საკვანძო ინფორმაციის გაანალიზების და კონკრეტული პირის უნარებსა და პროფესიის მოთხოვნებს შორის არსებული თანხვედრის შეფასების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული ტიპის ცოდნა მნიშვნელოვანია პროფესიული ორიენტაციის წარმართვის პროცესში ჩართული სპეციალისტებისთვის. პროფესიების ანალიზის ინსტრუმენტზე დაყრდნობით, ინკლუზიური განათლების სპეციალისტებს ეძლევათ შესაძლებლობა გააქტიურონ საკუთარი

ცოდნა და წარმოდგენები იმ პროფესიებზე, რომელთა მიმართაც გამოხატა ინტერესი აპლიკანტმა და რომელთა თაობაზეც მოუწევთ მისთვის ინფორმაციის გაზიარება.

აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში, შესაძლოა ერთი შეხვედრის ფარგლებში ვერ მოხერხდეს აპლიკანტის ინტერესებისა და შესაძლებლობების სრულყოფილად შესწავლა და საჭირო გახდეს დამატებითი შეხვედრების ორგანიზება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის საორიენტაციო შეხვედრას წარმართავენ ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები და კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სპეციალისტი. აღნიშნულ ეტაპზე, დაწესებულებას შეუძლია ისარგებლოს სამინისტროს მულტიდისცილინური გუნდის წევრის დახმარებითაც.

საორიენტაციო შეხვედრის დროს გასათვალისწინებელი საკითხები

საორიენტაციო შეხვედრის დროს ფაქტიურად ხდება პროფესიული ორიენტაციის შემდგომი ეტაპებისთვის საფუძვლის ჩაყრა და მიმართულებების განსაზღვრა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ შეხვედრაზე მაქსიმალურად მოხდეს აპლიკანტის ნდობისა და მის შესახებ რელევანტური ინფორმაციის მოპოვება; გარდა ამისა, პროფესიული ორიენტაციის გუნდის მიერ გამოყენებული ვერბალური და თვალსაჩინო მასალების (ვიდეო რგოლები, სურათები, შექმნილი ნამუშევრები და სხვა) მიხედვით, შესაძლებელია აპლიკანტს გაუღვივდეს სასწავლო მოტივაცია ან პირიქით. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ყველა დეტალის გათვალისწინება. პროფესიული ორიენტაციის პროცესში მნიშვნელოვანია:

- სასიამოვნო/სტრესისგან თავისუფალი, კომფორტული გარემოს შექმნა;
- რეფლექსიებისა და შეკითხვებისთვის საკმარისი დროის გამოყოფა;
- რელევანტური შეკითხვების დასმა (შეკითხვების ფორმულირებისას, მნიშვნელოვანია აპლიკანტის შესაძლებლობების გათვალისწინება);
- აპლიკანტისთვის პასუხის გასაცემად საკმარისი დროის მიცემა;
- მნიშვნელოვანია გაწონასწორებული იყოს თავად აპლიკანტის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროცესში ჩართულობა; კერძოდ, კითხვები გამიზნული უნდა იყოს აპლიკანტისთვის და პასუხების მიღებაც აპლიკანტისგან უნდა ხდებოდეს; ხოლო მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართვა, მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც აპლიკანტი ამოწურავს სათქმელს. რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია აპლიკანტის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ინდივიდუალური დამატებითი შეხვედრის ორგანიზება;
- აპლიკანტისთვის კითხვების დასმისა და საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობის მიცემა;

- აპლიკანტისთვის პროფესიული ორიენტაციის გუნდისგან კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდება;
- გუნდის წევრების მიერ გზადაგზა საკვანძო სიტყვების ჩანიშვნა, რომელიც პროფესიული ორიენტაციის გეგმის შედგენის დროს იქნება გასათვალისწინებელი;
- საჭიროების შემთხვევაში, დამატებით შეხვედრაზე შეთანხმება.

აუცილებელია აპლიკანტის წახალისება, რომ მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი ინტერესის სფეროები და კომპეტენციები. ამ მიზნით, შესაძლებელია აპლიკანტისთვის საორიენტაციო შეხვედრის ფარგლებში შემდეგი შეკითხვების დასმა:

- რის კეთება მოგწონს ყველაზე მეტად?
- რა მოლოდინები გაქვს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისგან? რას გგონია რომ გააკეთებ პროფესიულ კოლეჯში?
- რა არის შენი მიზანი?/ რა არის შენი სურვილი?/ რა გინდა რომ ისწავლო?
- რატომ დაისახე ეს მიზანი?/საიდან გაგიჩნდა ეს სურვილი?
- რა არის საჭირო იმისთვის, რომ ამ მიზანს მიაღწიო?/ რა დაგეხმარება სწავლის დროს?
- რამ შეიძლება ხელი შეგიშალოს მიზნის მიღწევაში?/ სწავლის დროს რამ შეიძლება შეგიშალოს ხელი?
- კიდევ რის სწავლა/კეთება გინდა, რა სურვილები გაქვს?

თუ აპლიკანტს უჭირს მსგავსი ფორმულირებით მიწოდებულ კითხვებზე პასუხის გაცემას, აუცილებელია, მისი უნარების შესაბამისად შეკითხვების გამარტივება, არჩევითი პასუხების შემცველი კითხვების გამოყენება. მაგალითად, თუ აპლიკანტს კითხვები გვინდა დაუფსვათ მზარეულის პროფესიული პროგრამის შესახებ (როდესაც კონდიტერის პროფესიული პროგრამა მისი ინტერესების ველში ხვდება), შესაძლოა გამარტივებული სახით დაუფსვათ შემდეგი დახურული ან არჩევით პასუხების მქონე კითხვები:

- გიცდია საჭმლის მომზადება და ნამცხვრის გამოცხობა?
- რისი კეთება უფრო მოგწონს საჭმელების გაკეთება თუ ნამცხვრის გამოცხობა?
- როგორ ფიქრობ კოლეჯში მხოლოდ კერძებს გააკეთებ თუ სხვა რაღაცეებსაც ისწავლი, მაგალითად სხვა ქვეყნების სამზარეულოს ისტორიას?
- მზარეულობას რომ ისწავლი, მხოლოდ სახლში გინდა საჭმლის გაკეთება თუ რესტორანშიც გინდა იმუშავო?
- მოგწონს კერძების მომზადება/საჭმელების კეთება?
- როგორ ფიქრობ, საჭმლის გაკეთება ყველაზე კარგად გამოგდის თუ ნამცხვრებსაც კარგად აცხობ?
- რეცეპტებს შენით კითხულობ?
- და სხვა

მსგავსი ტიპის კითხვების გამოყენება (მხოლოდ იმ აპლიკანტებთან, რომლებთანაც ვერ ხერხდება ღია კითხვებით ინფორმაციის მოპოვება), შესაძლოა გახდეს საჭირო ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით, რომელიც აპლიკანტის ინტერესის კვლევის შედეგად გამოვლინდა.

იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტისგან ვერ ხერხდება შეკითხვებზე პასუხის მიღება, საორიენტაციო შეხვედრისას მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, აპლიკანტს არ სურს პასუხის გაცემა (ვერ მოხდა სათანადო ნდობის მოპოვება), თუ არ ესმის დასმული კითხვის შინაარსი. პროცესში აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ შეხვედრის ფარგლებში დასმულ კითხვებზე „მცდარი“ პასუხი არ არსებობს; მნიშვნელოვანია, პროფორიენტაციის გუნდის წევრებმა იმსჯელონ თუ როგორ შეიძლება ხელი შეუწყონ აპლიკანტისთვის სასაიამოვნო ატმოსფეროს შექმნას და ცნობიერების ამაღლებას, პროფესიული განათლების შესაძლებლობისა და პროფესიის არჩევის თვალსაზრისით.

საორიენტაციო შეხვედრის შედეგები

საორიენტაციო შეხვედრის ფარგლებში პროფესიული ინტერესების კვლევის შედეგად, უნდა განისაზღვროს ის 3-5 (პირობითად) საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის უფრო სიღრმისეულ გაცნობასაც მოისურვებს აპლიკანტი. საორიენტაციო ეტაპზე შესაძლოა განისაზღვროს ისეთი დამატებითი მომსახურების საჭიროებაც, როგორცაა ინდივიდუალური ასისტენტი, ტრანსპორტირება და სხვა.

ამ ეტაპზე, აპლიკანტის უნარებისა და საჭიროებების უკეთ შესწავლის მიზნით, ასევე რეკომენდებულია ინკლუზიურ პროფესიულ განათლებაში ჩართული მულტიდისციპლინური გუნდის მხარდაჭერით სარგებლობაც.

იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული ინტერესების კვლევის და საორიენტაციო შეხვედრის საფუძვლად გამოვლინდება, რომ აპლიკანტს აინტერესებს პროფესიული პროგრამები, რომლებიც მოცემულ დაწესებულებაში არ ისწავლება, აპლიკანტს შესაძლებელია მიეცეს რეკომენდაცია მიმართოს სხვა დაწესებულებას.

პროფესიული ორიენტაციის გეგმის შედგენის და განხორციელების პროცესი

პროფესიული ორიენტაციის გეგმა

აპლიკანტთან საორიენტაციო შეხვედრის შედეგად, დაწესებულება შეიმუშავებს პროფესიული ორიენტაციის პროცედურას/გეგმას. გეგმის შემუშავებაში აქტიურ

მონაწილეობას იღებენ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, პროფესიული განათლების მასწავლებლი/მასწავლებლები და საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაციის წარმომადგენელიც. პროფესიული ორიენტაციის გუნდის წევრი ასევე შეიძლება იყოს პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენელიც.

პროფესიული ორიენტაციის გეგმის შედგენის ძირითად მიზანს წარმოადგენს აპლიკანტისთვის კონკრეტულ პროფესიაზე/პროფესიებზე ნათელი წარმოდგენის შექმნა და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა - დაეუფლოს თუ არა კონკრეტულ პროფესიას საფუძვლიანად.

აღნიშნულ ეტაპზე, პროფესიული ორიენტაციის შედეგად მიღებული ინფორმაცია და შემდგომი სამოქმედო ნაბიჯები უნდა აისახოს პროფესიული ორიენტაციის გეგმაში (იხილეთ დანართი N 1).

პროფესიული ორიენტაციის პროცესში რეკომენდებულია ისეთი აქტივობების ინტეგრირება, რომელიც აპლიკანტს მისცემს საშუალებას დაიწყოს მსჯელობა შემდეგი კითხვების გარშემო:

- *მინდა?*
- *შემიძლია?*
- *საჭიროა/მჭირდება?*

აუცილებელია ყველა დაგეგმილი აქტივობა ასახული იყოს პროფესიული ორიენტაციის გეგმაში.

პროფესიების პრაქტიკული მოსინჯვა

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიული ორიენტაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს, ინტერესების კვლევის ეტაპზე აპლიკანტის მიერ განსაზღვრული პროფესიების **პრაქტიკული მოსინჯვა** წარმოადგენს. პროფესიების პრაქტიკული მოსინჯვები შესაძლებელია განხორციელდეს როგორც თანმიმდევრულად, ისე პარალელური ფორმატით; თუმცა, აუცილებელია, რომ ამ დროს მოხდეს საათობრივი გადანაწილების პროპორციების დაცვა ისე, რომ აპლიკანტს ჰქონდეს შესაძლებლობა თანაბრად გაეცნოს შერჩეულ პროფესიებს და მათთვის დამახასიათებელ აქტივობებს.

თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი პრაქტიკული მოსინჯვის შემდგომ მნიშვნელოვანია აპლიკანტის მიერ მოხდეს:

- ✓ პროფესიასთან მიმართებით საკუთარი ძლიერი მხარეებისა და გამოწვევების გაცნობიერება;
- ✓ ინტერესების, უნარებისა და ღირებულებების იდენტიფიცირება;

- ✓ რეფლექსია თითოეული მოსინჯულ პროფესიასთან მიმართებით;
- ✓ სხვადასხვა ალტერნატივების გათვალისწინებით, დასაბუთებული არჩევანის გაკეთება.

ამ ეტაპზე, რეფლექსიის სტიმულაციის დროს აუცილებელია პროფორიენტაციის პროცესში გადაღებული ფოტოებისა და სხვადასხვა პროფესიასთან მიმართებით განხორციელებული აქტივობების ფარგლებში შეგროვებული მასალების გამოყენება, რაც აპლიკანტს დაეხმარება რეფლექსიის მოხდენაში (იხილეთ დანართი № 4), გაახსენებს კონკრეტულ პროცესს და მისცემს გამოცდილებების შედარების შესაძლებლობას. ამ დროს აპლიკანტს უნდა დაესვას შემდეგი ტიპის კითხვები:

- რას ფიქრობ ამ საქმიანობაზე?
- რისი კეთება მოგეწონა ყველაზე მეტად?
- არის ისეთი რამე, რაც არ მოგეწონა ან რისი კეთებაც გაგიჭირდა?
- გინდა ამ საქმიანობის კიდევ კეთება/მოსინჯვა?
- რა დაგეხმარებოდა ამ საქმიანობის უკეთესად/უფრო მარტივად გაკეთებაში?
- და სხვა ...

პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში დაგეგმილი ყველა აქტივობა უნდა იძლეოდეს პროფესიის შემადგენელი ძირითადი ამოცანების და მოვალეობების გაცნობის შესაძლებლობას; ამ დროს აპლიკანტს ეძლევა საშუალება ერთი მხრივ გამოსცადოს პროფესიულ აქტივობათა ციკლი, ხოლო მეორე მხრივ, ტიპური სამუშაო რუტინა; გაეცნოს დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებს და სამუშაო გარემოს; გამოიყენოს სპეციფიკური მასალა/ნედლეული, ინსტრუმენტები, აღჭურვილობა და დანადგარები პროფესიით განსაზღვრული პროდუქტებისა და შედეგების მიღების მიზნით.

აღნიშნულ ეტაპზე ძირითად ამოცანას წარმოადგენს კონკრეტულ პროფესიაზე მონაწილის არსებული გამოცდილების (რაც მანამდე გაუგია, წაუკითხავს, წარმოუდგენია, უნახავს და ა.შ.) გამდიდრება და მისთვის პროფესიის უფრო სრულყოფილი სურათის თანმიმდევრულად ჩვენება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მიერ პროფესიის მოსინჯვის პროცესში დაკვირვებისთვის ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა უნდა გამოიყენოს ინფორმაციის დოკუმენტირების შესაბამისი ფორმა (იხილეთ დანართი №2). დაკვირვების შედეგების ამსახველი ანკეტა საშუალებას იძლევა მოხდეს აპლიკანტის მუშაობასთან და სწავლასთან დაკავშირებული უნარების დოკუმენტური ასახვა. თითოეულ პროფესიასთან მიმართებით ივსება მხოლოდ ერთი ფორმა. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ფორმა არ ივსება მხოლოდ ცალკეული აქტივობის დაკვირვების შედეგად, არამედ ერთ პროფესიასთან მიმართებით განხორციელებული ყველა აქტივობის, აპლიკანტის უკუკავშირისა და პროცესთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაციის

გათვალისწინებით. შესაბამისად, დაკვირვების შედეგების ანკეტა წარმოადგენს სამუშაო დოკუმენტს, რომელშიც თითოეული პროფესიის მოსინჯვის შედეგად მიღებული ინფორმაცია ერთმანეთს ემატება და ავსებს.

დაკვირვების შედეგების ამსახველი ანკეტის გამოყენება ასევე აქტიურად ხდება სასწავლო პროცესშიც და წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროებისა და სწავლების სპეციფიკის განსაზღვრის პროცესში. თუმცა, სასწავლო პროცესში ანკეტის შევსებაში განსაკუთრებულ როლს პროფესიული განათლების მასწავლებელი ასრულებს.


პროფესიული ორიენტაციის პროცესში აპლიკანტის მიერ მოსასინჯი აქტივობების შერჩევა შესაძლებელია მოხდეს პროფესიების ანალიზის ინსტრუმენტის გამოყენებით, კერძოდ, ინსტრუმენტის შემდეგი სექციიდან - „ძირითადი პროფესიული აქტივობები და დავალებები“:

შესასრულებელი აქტივობების შერჩევაში და მათ ადაპტაციაში მონაწილეობას უნდა იღებდეს პროფესიული განათლების მასწავლებელიც, რომელიც აქტიურად უხელმძღვანელებს აპლიკანტის მიერ აქტივობების შესრულებას, გაუწევს შესრულების პროცესში ფასილიტაციას და ამავდროულად, პროფესიული ორიენტაციის და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებთან ერთად თვალს მიადევნებს თუ რამდენად ავლენს აპლიკანტი პროფესიების ანალიზის ინსტრუმენტის სექციაში - „პროფესიული აქტივობებისთვის საჭირო მოთხოვნები (უნარები და შესაძლებლობები)“, განსაზღვრულ უნარებს;

პროფესიების მოსინჯვის შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე, აპლიკანტი შეძლებს განსაზღვროს რამდენად ხედავს საკუთარ თავს კონკრეტულ პროფესიაში, რა მოსწონს, რისი შესრულება უჭირს, რა აინტერესებს, რა სწყინდება, რა ხიბლავს, რა აშფოთებს და სხვა.

შენიშვნა: პრაქტიკული მოსინჯვის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია გზამკვლევის ნაწილში - „პროფესიული მოსინჯვის პროცესი“

ცხრილი #3 პროფესიების მოსინჯვის ციკლი



მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ციკლის შემდეგ ყოველ ჯერზე ხდებოდეს პროფესიული ორიენტაციის გეგმის გადახედვა/კორექტირება და იმის შეფასება, თუ რამდენად ეხმიანება დაგეგმილი პროცესი აპლიკანტის მიმდინარე ინტერესებსა და გამოვლენილ უნარებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული ნაწილის გაცნობა

რეკომენდებულია, პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში აპლიკანტს შესაძლებლობა მიეცეს შერჩეული პროფესიების სწავლების თეორიულ ნაწილსაც დაესწროს, რათა უფრო სრული წარმოდგენა შეექმნას პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე პროფესიული პროგრამის სწავლების პროცესზე. აღნიშნული შესაძლოა განხორციელდეს როგორც მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამაზე დასწრებით, ასევე, კონკრეტული აპლიკანტისთვის დაგეგმილი საჩვენებელი პროცესის ფარგლებში (იმ შემთხვევაში, როდესაც აპლიკანტის პროფორიენტაციის პროცესში არ მიმდინარეობს აქტიური სასწავლო პროცესი ან აპლიკანტისთვის აღნიშნული პროცესის გაცნობა ინდივიდუალურ საფუძველზეა რეკომენდებული).

პროგრამის თეორიულ ნაწილთან გაცნობა შესაძლოა განხორციელდეს მცირე ჯგუფებადაც (სასურველია, ჯგუფში არ იყოს 3 აპლიკანტზე მეტი).

დასაქმების ადგილზე ვიზიტები

გარდა ამისა, პროფესიის/პროფესიების გაცნობის ეტაპზე, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან ერთად მნიშვნელოვანია დაიგეგმოს პროფესიის ფარგლებში შესაძლო დასაქმების ადგილზე ვიზიტები. სამუშაო ადგილის მონახულების თარიღის შეთანხმებისთანავე უნდა დაიწყოს მზადება დასაქმების ადგილზე ვიზიტისათვის; რაც შეიძლება გულისხმობდეს საწარმოს შიდა განაწესის, უსაფრთხოების წესებისა და სანიტარული ნორმების გაცნობას.

რეალური დასაქმების ადგილზე ვიზიტი პროფესიული ორიენტაციის პროცედურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომელიც საშუალებას აძლევს პირს კონკრეტული პროფესიის რეალური გამოყენება და სამომავლო პერსპექტივა დაინახოს. აღნიშნული გამოცდილების მიღება აპლიკანტისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამუშაოზე დაფუძნებული/დუალური მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში. მსგავსი პრაქტიკული ვიზიტების რაოდენობა შესაძლოა კონკრეტული აპლიკანტის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით ვარიირებდეს.

დასაქმების ადგილზე ვიზიტები შესაძლოა განხორციელდეს მცირე ჯგუფებადაც (სასურველია, ჯგუფში არ იყოს 3 აპლიკანტზე მეტი).

პორტფოლიოს (საქალაქდეს) წარმოება

იმისათვის რომ სასწავლო პროცესში ჩართული მონაწილისთვის და ნებისმიერი პირისთვის (თავად აპლიკანტი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, მშობელი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები) თვალსაჩინო გახდეს მოცემული პროფესიული აქტივობების ფარგლებში აპლიკანტის მიღწევები და პროგრესი, რეკომენდებულია, ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა აწარმოოს პორტფოლიო, რომელშიც ასახული იქნება პროფესიული ორიენტაციის პროცესში განხორციელებული აქტივობები და შექმნილი პროდუქტები ან/და მათი ამსახველი მასალა.

პორტფოლიოში შეიძლება განთავსებული იყოს ნებისმიერი მასალა, რეალური ნამუშევრები ან მათი ფოტოები, რაც თვალსაჩინოდ ასახავს პორტფოლიოს მფლობელის შესაძლებლობებსა და შედეგებს. ამასთანავე, პორტფოლიო გააერთიანებს განხორციელებულ პროცესთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტს.

მნიშვნელოვანია, საქალაქდესში ნამუშევრების ორგანიზებულად განთავსება, რათა მისი გაცნობისას თვალსაჩინო იყოს პროფესიული ორიენტაციის ეტაპები და პროფესიის შერჩევის დინამიკა. შესაბამისად, სასურველია პორტფოლიო მოწესრიგებული იყოს სარჩევითა და განყოფილებებით; თვალსაჩინოებებით გამდიდრებული მასალა (ფოტო/ვიდეო/ აუდიოჩანაწერი) იყოს დასათაურებული და დათარიღებული.

პროფესიული ორიენტაციის შედეგები


პროფესიული ორიენტაციის პროცედურის დასრულების შემდეგ, დაწესებულება ადგენს ოქმს. პროფესიული ორიენტაციის გუნდის ოქმი (იხილეთ დანართი №3), ასახავს აპლიკანტის მიერ გავლილ პროფესიული ორიენტაციის პროცესს, აპლიკანტის გადაწყვეტილებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე და პროფესიული ორიენტაციის გუნდის რეკომენდაციას. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ შეირჩა სამუშაოზე დაფუძნებული/დუალური პროგრამა და აპლიკანტმა პროფესიული ორიენტაცია გაიარა პროგრამის თანაგანმახორციელებელ პარტნიორთან - დამსაქმებელთან, პროფესიული ორიენტაციის გუნდის ოქმი ასევე უნდა მოიცავდეს აღნიშნული დამსაქმებლის რეკომენდაციასაც.

პროფესიული ორიენტაციის გუნდის ოქმი ასევე ასახავს იმ შემთხვევებსაც, თუ :

- ✓ ობიექტური მიზეზების გამო, ვერ განხორციელდა აპლიკანტის პროფესიული ორიენტაცია;
- ✓ აპლიკანტის მიერ ვერ მოხდა სასურველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევა;
- ✓ პროფესიული ორიენტაციის გუნდმა ვერ მისცა აპლიკანტს სასურველ პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის რეკომენდაცია, რასაც თან უნდა ახლდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული დასაბუთება. აღნიშნული გადაწყვეტილების მთავარი მოტივი შესაძლოა იყოს პროფესიული ორიენტაციის პროცესში გამოვლენილი დაბალი სასწავლო მოტივაცია, თვალსაჩინო საფრთხე, რომელიც შეიძლება თავად აპლიკანტს ან/და გარშემომყოფებს შეექმნას ამ პროფესიული პროგრამის ფარგლებში და სხვა ძლიერი საფუძველის მქონე მიზეზები.

პროფესიული ორიენტაციის შედეგების ამსახველ ოქმს ხელს აწერს პროფესიული ორიენტაციის გუნდის ყველა წევრი და თავად აპლიკანტი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ცხრილი N 2 პროფესიული ორიენტაციის ეტაპები



პროფესიული ორიენტაციის პროცესში ჩართული პირები და მათი კომპეტენციის ფარგლები/პასუხისმგებლობები

პროფესიული განათლების სისტემაში აპლიკანტთა პროფესიულ ორიენტაციას, როგორც წესი, ახორციელებენ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტები. ხოლო როდესაც აპლიკანტს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, პროცესში დამატებით ერთვება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები.

პროფესიული ორიენტაციის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპეციალისტების შეთანხმებული და კოორდინირებული მუშაობა, სადაც თითოეულ მათგანს გაცნობიერებული აქვს საკუთარი როლი და მნიშვნელობა. ქვემოთ მოცემულია, პირობითად თუ რა პასუხისმგებლობები აკისრიათ პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტსა და კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სპეციალისტს; თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ პროფორიენტაცია ეს არის ცოცხალი პროცესი, რომელიც ყოველ ჯერზე შესაძლოა მოიცავდეს ახალ, დამატებითი კომპონენტს რათა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტმა შეიქმნას სრულყოფილი/თვალსაჩინო წარმოდგენა კონკრეტულ პროფესიებთან და საკუთარ შესაძლებლობებთან, მიდრეკილებებთან, უნარ-ჩვევებთან დაკავშირებით. ამისთვის კი

აუცილებელია, ყველა ჩართული სპეციალისტის მხრიდან მოხდეს პროცესის ეფექტურად წარმართვის წახალისება და საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებლობის აღება.

პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი:

- ახდენს აპლიკანტის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინფორმირებას პროფორიენტაციის არსის, მიზნისა და შინაარსის შესახებ.
- ახდენს გაერთანებული შეხვედრების ორგანიზებას, აპლიკანტის/მეურვის და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების (კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სპეციალისტი, პროფესიული განათლების მასწავლებელი) მონაწილეობით.
- წინასწარ აცნობებს, თუ რა მასალა უნდა მიიტანოს აპლიკანტმა გასაუბრებაზე (ყველაფერი რაც შეიძლება უკავშირდებოდეს მის პროფესიულ ინტერესს: ნამუშევრები, აქტივობის ამსახველი ვიდეო/ფოტომასალა, ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა და სხვა).
- უზრუნველყოფს შესაბამისად აღჭურვილი შეხვედრების სივრცის მოძიება/მომზადებას.
- ამზადებს ყველა საჭირო მასალას, რომლის გამოყენებაც შეიძლება მოხდეს აპლიკანტის პროფესიული ინტერესისა და შესაძლებლობების შესწავლის მიზნით.
- კარიერის დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის მენეჯერთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის პროფესიული ინტერესების და წინა პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასებას; აღნიშნული მიზნით, იყენებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებზე მორგებულ ინტერესთა საკვლევ კითხვარს და სხვა ინსტრუმენტებს.
- ახდენს პროფესიულ უნარებზე ფოკუსირებულ შეფასებას პროფესიების ანალიზის ინსტრუმენტის გამოყენებით.
- კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სპეციალისტთან, მასწავლებელთან/მასწავლებლებთან და თავად აპლიკანტთან თანამშრომლობით, ადგენს პროფესიული ორიენტაციის ინდივიდუალურ გეგმას და უზრუნველყოფს მის განხორციელებას;
- უზრუნველყოფს პროფესიის პრაქტიკულ მოსინჯვას და მასთან დაკავშირებულ პროცედურებს.
- აწარმოებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროფესიულ ორიენტაციასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას: პორტოფოლიო, პროფესიული ანალიზის დოკუმენტი, პროფესიული ორიენტაციის გეგმა, შემაჯამებელი ოქმი და სხვა.
- პრაქტიკის ადგილზე ვიზიტის დროს, მონაწილეობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა ადაპტაციის პროცესში. კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სპეციალისტთან ერთად ახდენს გარემოს შეფასებასა და მორგებას.

პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სპეციალისტი:

- მონაწილეობას იღებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის პროფესიული ინტერესების შესწავლის პროცესში;
- ესწრება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთან ორგანიზებულ საორიენტაციო შეხვედრას, მონაწილეობს პროფორიენტაციის გეგმის შედგენაში; გამოხატავს საკუთარ აზრს პროცესის დაგეგმვასთან/განსახორციელებელ აქტივობებთან დაკავშირებით;
- საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ინფორმაციას აწვდის აპლიკანტს პროფესიისა და დასაქმების შესაძლო ადგილების შესახებ;
- არსებული ინფორმაციის საფუძველზე, აცნობს აპლიკანტს (საჭიროების შემთხვევაში მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს) შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საჭიროებებს.
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან ერთად, განსაზღვრავს მიყოლის სერვისის/ასისტირების აუცილებლობას დასაქმების/პრაქტიკის ადგილზე;
- იძიებს საწარმოო პრაქტიკის ადგილს; ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან ერთად, ახდენს გარემოს სპეციალურ მომზადებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მისაღებად (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებელი:

- კარიერის დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის მენეჯერთან და ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან ერთად, ჩართულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის პროფესიული ინტერესების და წინა პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასების პროცესში;
- პროფესიული ორიენტაციის პროცესში ახდენს აპლიკანტისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას პროფესიასთან დაკავშირებული აქტივობებისა და საჭირო უნარების შესახებ;
- აქტიურ მონაწილეობას იღებს აპლიკანტის პროფესიული ორიენტაციის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცესში; პროფესიული ორიენტაციის გუნდს აძლიერებს კონკრეტული პროფესიის შესახებ საკუთარი ცოდნით და ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად ახდენს აპლიკანტისათვის პროფესიის რეპრეზენტატიული აქტივობების შერჩევას.
- აქტიურად მონაწილეობს აპლიკანტის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული მოსინჯვის პროცესში.
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან თანამშრომლობით, ახდენს აპლიკანტისთვის პროფესიული ორიენტაციის პროცესისთვის საჭირო პროფესიასთან დაკავშირებული მასალისა და აქტივობების მორგებას.

დანართი №1

პროფესიული ორიენტაციის ინდივიდუალური გეგმა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება:		
შევსების თარიღი:	პროფესიული ორიენტაციის დაწყების თარიღი:	
აპლიკანტის სახელი, გვარი:	აპლიკანტის პ/ნ:	
აპლიკანტის კანონიერი წარმომადგენელი: (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	საკონტაქტო ინფორმაცია:	
გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები	სახელი, გვარი:	
	პოზიცია:	
პროფესიული ორიენტაციის პროცესში ჩართული პირები	სახელი, გვარი	პოზიცია
	1.	
	2.	
	3.	
	4.	
	5.	
	6.	
	7.	
საორიენტაციო შეხვედრის შედეგები:		

აპლიკანტის ინტერესების შესაბამისი პროფესიები		1. 2. 3. 4. 5.				
პროფესიული ორიენტაციის ფორმატი		ინდივიდუალური <input type="checkbox"/> ჯგუფური <input type="checkbox"/> ჯამური საათების რაოდენობა <input type="text"/>				
დამატებითი სპეციალისტი/ადამიანური რესურსის ჩართვის საჭიროება (მაგ.: ინდივიდუალური ასისტენტი, ქესტური ენის თარჯიმანი, სხვა)		დამატებითი სპეციალისტის/ადამიანური რესურსის დაზუსტება (ასეთი საჭიროების არსებობის შემთხვევაში)				
დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/>						
აპლიკანტის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი აქტივობები	პერიოდი (სთ)		ჩართული პირები	საჭირო რესურსი	აპლიკანტის რეფლექსია საგანმანათლებლო პროგრამაზე
		თეორიული სწავლება	პრაქტიკული აქტივობა			
1.						<input type="checkbox"/> საერთოდ არ მომეწონა <input type="checkbox"/> არ მომეწონა <input type="checkbox"/> ნეიტრალური დამოკიდებულება <input type="checkbox"/> მომეწონა <input type="checkbox"/> ძალიან მომეწონა <input type="checkbox"/> არ ვიცი
2.						<input type="checkbox"/> საერთოდ არ მომეწონა <input type="checkbox"/> არ მომეწონა <input type="checkbox"/> ნეიტრალური დამოკიდებულება <input type="checkbox"/> მომეწონა <input type="checkbox"/> ძალიან მომეწონა <input type="checkbox"/> არ ვიცი
3.						<input type="checkbox"/> საერთოდ არ მომეწონა <input type="checkbox"/> არ მომეწონა <input type="checkbox"/> ნეიტრალური დამოკიდებულება

						<input type="checkbox"/> მომეწონა <input type="checkbox"/> ძალიან მომეწონა <input type="checkbox"/> არ ვიცი
4.						<input type="checkbox"/> საერთოდ არ მომეწონა <input type="checkbox"/> არ მომეწონა <input type="checkbox"/> ნეიტრალური დამოკიდებულება <input type="checkbox"/> მომეწონა <input type="checkbox"/> ძალიან მომეწონა <input type="checkbox"/> არ ვიცი
5.						<input type="checkbox"/> საერთოდ არ მომეწონა <input type="checkbox"/> არ მომეწონა <input type="checkbox"/> ნეიტრალური დამოკიდებულება <input type="checkbox"/> მომეწონა <input type="checkbox"/> ძალიან მომეწონა <input type="checkbox"/> არ ვიცი
<p>პროფესიული ორიენტაციის შედეგების მოკლე შეჯამება <i>(ივსება პროფესიული ორიენტაციის პროცედურის დასრულების შემდეგ)</i></p>						

დაკვირვების შედეგების ამსახველი ანკეტა

დებულებების სვეტი	შემოხაზეთ შესაბამისი დებულება და დააზუსტეთ	კომენტარი <i>(გთხოვთ, ყველა ასპექტთან მიმართებით გააკეთოთ აღწერითი ჩანაწერიც)</i>
აპლიკანტი კონცენტრირებულია მიმდინარე პროცესზე	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> ნაწილობრივ <input type="checkbox"/> არა	
აპლიკანტისთვის გასაგებია სტანდარტული ფორმით მიცემული ინსტრუქციები	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> ნაწილობრივ <input type="checkbox"/> არა	
აპლიკანტისთვის გასაგებია ადაპტირებული ფორმით მიცემული ინსტრუქციები	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> ნაწილობრივ <input type="checkbox"/> არა	
აპლიკანტი ავლენს ინტერესს, ინიციატივას შესასრულებელი დავალების / აქტივობის მიმართ	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> ზოგჯერ <input type="checkbox"/> არა	
აპლიკანტი ცდილობს ინსტრუქციების შესრულებას, დემონსტრირებული დავალებების გამეორებას	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> ზოგჯერ <input type="checkbox"/> არა	
საჭიროების შემთხვევაში, აპლიკანტი სვამს შეკითხვებს, ითხოვს დამატებით ინფორმაციას	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> ზოგჯერ <input type="checkbox"/> არა	
აპლიკანტი დავალების / ინსტრუქციის შესრულებისას საჭიროებს სტანდარტულზე მეტ დახმარებს	<input type="checkbox"/> სისტემატიურად <input type="checkbox"/> მხოლოდ ახალი დავალების მიცემისას <input type="checkbox"/> მხოლოდ ზოგიერთი დავალების შემთხვევაში <input type="checkbox"/> არა	

<p>აპლიკანტს სჭირდება (შესაძლოა მონიშნოს ერთზე მეტი საკითხი)</p>	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> ფიზიკური დახმარება <input type="checkbox"/> სიტყვიერი მინიშნება <input type="checkbox"/> ფიზიკური მინიშნება <input type="checkbox"/> ნიმუშის ჩვენება <input type="checkbox"/> ინსტრუქციის / დავალების გამარტივება <input type="checkbox"/> ინსტრუქციის/დავალების დანაწევრება <input type="checkbox"/> ინსტრუქციის/დავალების განსხვავებული ფორმით მიწოდება <input type="checkbox"/> ინსტრუქციის მრავალჯერადი გამეორება <input type="checkbox"/> სხვა (გთხოვთ, დააზუსტოთ) 	
<p>აპლიკანტი საჭიროებს</p>	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> მუდმივ სუპერვიზიას <input type="checkbox"/> საშუალო ინტენსივობის სუპერვიზიას <input type="checkbox"/> მინიმალურ სუპერვიზიას <input type="checkbox"/> არ საჭიროებს სუპერვიზიას 	
<p>აპლიკანტი ითვალისწინებს მიღებულ უკუკავშირს</p>	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> ნაწილობრივ <input type="checkbox"/> ცდილობს გათვალისწინებას <input type="checkbox"/> არა 	
<p>აპლიკანტი ბოლომდე ასრულებს მიღებულ დავალებას (იგულისხმება როგორც სტანდარტული, ისე მისთვის მორგებული)</p>	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> ყოველთვის <input type="checkbox"/> საჭიროებს სუპერვიზიას დავალების დასასრულებლად <input type="checkbox"/> ვერ ასრულებს მიღებულ დავალებას 	
<p>აპლიკანტი სწორად განსაზღვრავს დახმარების საჭიროებას, ითხოვს დახმარებას</p>	<p><input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> ზოგჯერ <input type="checkbox"/> არა</p>	
<p>აპლიკანტის მიერ დავალების შესრულება:</p>	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს <input type="checkbox"/> ოდნავ განსხვავდება სტანდარტით დადგენილი მოთხოვნებისგან <input type="checkbox"/> მნიშვნელოვნად ჩამორჩება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს <input type="checkbox"/> სრულიად ჩამორჩება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს <input type="checkbox"/> არ შეუძლია შესრულება 	

<p>აპლიკანტს შეუძლია სხვის მიერ დაგეგმილი აქტივობების/განრიგის მიყოლა/თავად დაგეგმვა</p>	<p><input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> ნაწილობრივ <input type="checkbox"/> არა</p>	
<p>აპლიკანტს შეუძლია აქტივობის შესრულების ტემპის რეგულაცია</p>	<p><input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> ნაწილობრივ <input type="checkbox"/> არა</p>	
<p>აპლიკანტის მიერ საკუთარი ნამუშევრის შეფასება/რეფლექსია</p>	<p><input type="checkbox"/> შესაბამისია <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისია <input type="checkbox"/> შეუსაბამოა <input type="checkbox"/> სხვა (გთხოვთ, დააზუსტოთ)</p>	
<p>აპლიკანტს შეუძლია მუშაობა: <i>(შესაძლოა მოინიშნოს ერთზე მეტი საკითხი)</i></p>	<p><input type="checkbox"/> წყვილში <input type="checkbox"/> ჯგუფში <input type="checkbox"/> ინდივიდუალურად <input type="checkbox"/> მასწავლებელთან ერთად</p>	
<p>აპლიკანტი უპირატესობას ანიჭებს მუშაობას: <i>(შესაძლოა მოინიშნოს ერთზე მეტი საკითხი)</i></p>	<p><input type="checkbox"/> წყვილში <input type="checkbox"/> ჯგუფში <input type="checkbox"/> ინდივიდუალურად <input type="checkbox"/> მასწავლებელთან ერთად</p>	
<p>აპლიკანტისთვის ეფექტურია მუშაობა: <i>(შესაძლოა მოინიშნოს ერთზე მეტი საკითხი)</i></p>	<p><input type="checkbox"/> წყვილში <input type="checkbox"/> ჯგუფში <input type="checkbox"/> ინდივიდუალურად <input type="checkbox"/> მასწავლებელთან ერთად</p>	
<p>აპლიკანტი უკეთ ითვისებს ინფორმაციას როდესაც: <i>(შესაძლოა მოინიშნოს ერთზე მეტი საკითხი)</i></p>	<p><input type="checkbox"/> ისმენს <input type="checkbox"/> უყურებს თუ როგორ სრულდება მოქმედება <input type="checkbox"/> კითხულობს წერილობით მოცემულ ინფორმაციას <input type="checkbox"/> ეძლევა გამოსახულების სახით (მოცემულია ვიზუალურად) <input type="checkbox"/> საკითხავი მასალა მოცემულია ცხრილების ან დიაგრამების სახით <input type="checkbox"/> მასალა დანაწევრებულია მცირე მონაკვეთებად</p>	

<p>აპლიკანტი უკეთ გადმოსცემს მიღებულ ინფორმაციას</p> <p><i>(შესაძლოა მოინიშნოს ერთზე მეტი საკითხი)</i></p>	<input type="checkbox"/> ვერმალურად (თხრობით) <input type="checkbox"/> წერილობით <input type="checkbox"/> ტესტური დავალებით <input type="checkbox"/> პრაქტიკული დემონსტრირებით <input type="checkbox"/> ვიზუალური დამხმარე მასალის გამოყენებით <input type="checkbox"/> სხვა (გთხოვთ, დააზუსტოთ)	
<p>აპლიკანტი საჭიროებს დამატებით რესურსს აქტივობის/საქმიანობის უკეთ განსახორციელებლად</p>	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	
<p>აპლიკანტი იცავს სასწავლო გარემოში და პროცესში დადგენილ ქცევის წესებს</p>	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> სჭირდება მხარდაჭერა <input type="checkbox"/> არა	
<p>აპლიკანტი მოქმედებს უსაფრთხოების წესების დაცვით</p>	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> სჭირდება მხარდაჭერა <input type="checkbox"/> არა	
<p>აპლიკანტი ავლენს საჭირო ფიზიკურ გამძლეობას</p>	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> სჭირდება მხარდაჭერა <input type="checkbox"/> არა	
<p>სტუდენტი/აპლიკანტი ხელსაწყოებს / მოწყობილობებს იყენებს დანიშნულებისამებრ</p>	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> სჭირდება მხარდაჭერა <input type="checkbox"/> არა	
<p>მიუთითეთ დამატებითი ინფორმაცია: <i>მოცემულ გრაფაში შესაძლებელია აისახოს ინფორმაცია აპლიკანტის ინტერაქციის, ემოციების გამოვლენისა და მართვის თავისებურებებზე და ა.შ.</i></p>		

დანართი № 3

პროფესიული ორიენტაციის შემაჯამებელი ოქმი

ოქმის შედგენის თარიღი ----- / ----- / -----		
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების სახელწოდება		
აპლიკანტის სახელი, გვარი		აპლიკანტის პ/ნ:
აპლიკანტის კანონიერი წარმომადგენელი: (ასეთის არსებობის შემთხვევაში)		აპლიკანტის საკონტაქტო ინფორმაცია:
შეხვედრის ორგანიზატორი	სახელი, გვარი: პოზიცია:	
შეხვედრის მონაწილეები	სახელი, გვარი	პოზიცია
	1.	
	2.	
	3.	
	4.	
	5.	
	6.	
	7.	
პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში აპლიკანტის მიერ მოსინჯული საგანმანათლებლო პროგრამები	1. 2. 3. 4. 5.	
აპლიკანტის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები		
პროფესიული ორიენტაციის გუნდის რეკომენდაცია	აპლიკანტს მიეცა რეკომენდაცია დაეუფლოს მის მიერ შერჩეულ საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს <input type="checkbox"/>	
	აპლიკანტს არ მიეცა რეკომენდაცია დაეუფლოს მის მიერ შერჩეულ საგანმანათლებლო პროგრამას, რადგან: <input type="checkbox"/>	

	<ul style="list-style-type: none"> □ პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში გამოვლინდა, რომ ამ ეტაპზე, აპლიკანტს არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის დაუფლების სასწავლო მოტივაცია არ აქვს. □ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის დაუფლება მოიცავს თვალსაჩინო საფრთხეს აპლიკანტის და/ან გარშემომყოფებისათვის. □ სხვა (გთხოვთ, დააზუსტოთ) 	
პროფესიული ორიენტაციის გუნდის რეკომენდაციის არგუმენტაცია/დასაბუთება (ივსება ნებისმიერი ტიპის რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში)		
დამსაქმებლის რეკომენდაცია (აუცილებლად ივსება აპლიკანტის მიერ დუალური საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევის შემთხვევაში)		
კომენტარი		
შეხვედრის მონაწილე პირების ხელმოწერები:		
სახელი, გვარი	პოზიცია	ხელმოწერა

შენიშვნა: პროფესიული ორიენტაციის გუნდის ოქმის ფორმამ შესაძლოა განიცადოს ცვლილება და ჩანაცვლდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმით.

აპლიკანტის რეფლექსიის ფორმა

(აპლიკანტის მიერ პრაქტიკული მოსინჯვის შედეგის გააზრება/გაცნობიერება და პროფესიის მიმართ დამოკიდებულება)

<p>საორიენტაციო შეკითხვები (მოცემული კითხვები საორიენტაციოა და შესაძლებელია დამატებით სხვა კითხვების გამოყენებაც ან არსებულის საჭიროებისამებრ მორგება)</p>	<p>აპლიკანტის კომენტარი</p>	<p>ინკლუზიური განათლების სპეციალისტის/ პროფესიული განათლების მასწავლებლის კომენტარი (ივსება საჭიროების მიხედვით)</p>
<p>რას ფიქრობ ამ საქმიანობაზე?</p>		
<p>რის კეთება მოგეწონა ყველაზე მეტად?</p>		
<p>არის ისეთი რამე, რაც არ მოგეწონა ან რის კეთებაც გაგიჭირდა?</p>		
<p>გინდა ამ საქმიანობის კიდევ კეთება/მოსინჯვა?</p>		
<p>რა დაგეხმარებოდა ამ საქმიანობის უკეთესად/უფრო მარტივად შესრულებაში?</p>		
<p>რამ შეიძლება შეგიშალოს ხელი ამ საქმიანობის შესრულებაში?</p>		
<p>დამატებით რა ინფორმაციის მიღება დაგეხმარებოდა ამ საქმიანობის/პროფესიის უკეთ გაცნობაში?</p>		

თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის მოსინჯვის შემდეგ, აპლიკანტმა უნდა გამოხატოს საკუთარი ემოცია/დამოკიდებულება,

სადაც :



„საერთოდ არ მომეწონა“- მანიშნებელია, რომ აპლიკანტმა ზუსტად იცის, რომ არ სურს კონკრეტული პროფესიის დაუფლება



“არ მომეწონა“- აპლიკანტს არ სურს კონკრეტული პროფესიის დაუფლება



“ნეიტრალური დამოკიდებულება მაქვს“-აპლიკანტს არ აქვს კონკრეტული პროფესიის დაუფლების გამოკვეთილი მოტივაცია



„მომეწონა“- აპლიკანტს დადებით დამოკიდებულება აქვს კონკრეტული პროფესიის მიმართ



„ძალიან მომეწონა“-აპლიკანტმა გამოავლინა მაღალი მოტივაცია კონკრეტული პროფესიის დაუფლების



„არ ვიცი“- დამოკიდებულების ჩამოყალიბებისათვის, აპლიკანტს ესაჭიროება დამატებითი აქტივობების განხორციელება კონკრეტულ პროფესიასთან მიმართებაში.

საერთოდ არ მომეწონა	არ მომეწონა	ნეიტრალური დამოკიდებულება მაქვს	მომეწონა	ძალიან მომეწონა	არ ვიცი

შენიშვნა: ცალკეული აპლიკანტის შესაძლებლობების გათვალისწინებით, დასაშვებია შემცირდეს შეფასების სკალის პუნქტები და გაერთიანდეს შემდეგი შეფასებები: „საერთოდ არ მომეწონა“/“არ მომეწონა“ და „ძალიან მომეწონა“/“მომეწონა“

შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული აქტივობის განხორციელება შესაძლებელია როგორც თითოეული პროფესიის მოსინჯვის, ასევე პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული აქტივობების განხორციელების შემდეგ.

** რეფლექსიის პროცესში აუცილებელია აპლიკანტისათვის ცალკეულ პროფესიებთან დაკავშირებული აქტივობების ამსახველი მასალების (ფოტო-ვიდეო მასალა /პროცესში შექმნილი ნამუშევარი და სხვა) ჩვენება, რათა უკეთესად შეძლოს ინფორმაციის აღდგენა/გახსენება.